



2023
წელი

შპს გურამ თავართქილაძის
სახელობის
თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტი

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური (შემდგომში-სამსახური) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის დებულებით და წინამდებარე დებულებით.
3. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის კანცლერის წინაშე;
4. სამსახურს შეიძლება ქონდეს სპეციალური ფორმა შესაბამისი განმასხვავებელი ნიშნებით .

მუხლი 2. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები.

1. სამსახურის ძირითადი ამოცანაა სასწავლო კორპუსში, ეზოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგისა და უნივერსიტეტის კუთვნილი მატერიალური ქონების დაცვა, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
2. სამსახურს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს განახორციელოს შემდეგი ფუნქციები:
 - ა) უნივერსიტეტის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შეუძლია არ დაუშვას უცხო პირი უნივერსიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის ან სპეციალური საშვის გარეშე;
 - ბ) გამოიყენოს შესაბამისი ღონისძიებები წესრიგის დამრღვევის მიმართ, თუ იგი არ ემორჩილება უნივერსიტეტის შინაგანაწესით და წესდებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის მიმართავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და პოლიციის უახლოეს განყოფილებას.
3. სამსახურის თანამშრომელი ვალდებულია მოქალაქეებთან ურთიერთობის დროს დაიცვას სამსახურებრივი ეთიკის ნორმები.
4. სამსახურის მიერ უნივერსიტეტის შენობების და ტერიტორიის დაცვა ხორციელდება:
 - ა) სტაციონარული ადგილებით;
 - ბ) დაცულ კორპუსზე დებულებით გათვალისწინებული სარეგისტრაციო ან სასაშვო რეჟიმის გამოყენებით;
 - გ) გარე და შიდა პერიმეტრის სამეთვალყურეო კამერებით;
 - დ) დაცვის სხვა ფორმებისა და მეთოდების ორგანიზაციით, ტექნიკურ საშუალებათა დანერგვით.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა.

1. სამსახურის საშტატო განრიგი განსაზღვრულია უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგით;
2. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, უნივერსიტეტის დებულებით გათვალისწინებული წესით და უნივერსიტეტის კანცლერის წერილობითი დასტურით. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა) მის მოვალეობას ასრულებს დაცვის თანამშრომელი ან რექტორის შესაბამისი ბრძანებით დანიშნული ადმინისტრაციის წარმომადგენელი.
3. სამსახურის უფროსი:

ა) კოორდინაციას უწევს და წარმართავს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობას, პასუხისმგებელია მისი მუშაობის ეფექტურობაზე;

ბ) უზრუნველყოფს სამსახურის კოორდინირებულ მუშაობას უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და საჭიროებისამებრ საქართველოს ძალოვან სტრუქტურებთან.

გ) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე სვამს საკითხებს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარების შესახებ;

დ) საჭიროების შემთხვევაში ატარებს სამსახურეობრივ მოკვლევას თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

ე) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 4. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის უფლებამოსილებანი

4.1. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი ვალდებულია:

ა) 09.30 საათზე გამოცხადდეს სამუშაოზე ყოველ მე-3 დღეს, იყოს მოწესრიგებული;

ბ) თან იქნოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

გ) ცვლაში მყოფ თანამშრომელთან ერთად დაათვალიეროს კორპუსი, შეამოწმოს საკეტები, სამეთვალყურეო კამერები. შეამოწმოს ბიბლიოთეკის, კომპიუტერული კლასების, ლაბორატორიის, ლინგაფონის კაბინეტის, საგამოცდო ცენტრის, მენეჯერების კაბინეტისა და ბუღალტრის სამუშაო ოთახის კარებებზე ლუქების არსებობა. განათება, სატელეფონო კავშირი, მოახდინოს კორპუსის გარე დათვალიერება და ჩაიბაროს კორპუსი, რის შესახებაც სათანადო ჩანაწერი გააკეთოს მიღება-ჩაბარების ჟურნალში;

დ) კორპუსი მიიღოს 09.45 საათზე, ნაკლოვანებათა აღმოჩენის შემთხვევაში გააკეთოს ჩანაწერი ამის შესახებ კორპუსის მიღება-ჩაბარების ჟურნალში.

შესაცვლელი თანამშრომლის ადგილზე არყოფნის შემთხვევაში მოახსენოს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსს და იმოქმედოს მისი მითითებით.

ე) განუწყვეტლივ იმყოფებოდეს დასაცავ კორპუსში, ყურადღებით აკონტროლოს კორპუსი, ელექტროდამცავი და სამეთვალყურეო კამერების მუშაობა, კარგად იცოდეს კორპუსში კაბინეტებისა და აუდიტორიების განლაგება და თავისებურებანი. დაიცვას მასზე მიმაგრებული კორპუსის ქონება დაზიანებისაგან, გაძარცვისაგან და ხანძრისაგან. პერიოდულად გააკეთოს შემოვლები კორპუსში და კორპუსის ირგვლივ, განსაკუთრებით ღამის საათებში;

ვ) აღკვეთოს უნივერსიტეტის შინაგანაწესის ნებისმიერი დარღვევა, აგრეთვე ალკოჰოლიანი სასმელების შემოტანა კორპუსში, თამბაქოს მოწევა, აზარტული თამაშები, არ დაუშვას კორპუსში რაიმე ინვენტარის ან ნივთის შემოტანა-გატანა ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე.

ზ) კორპუსში ძირითადი და სათადარიგო გასასვლელები არ უნდა იქნეს ჩახერგილი სხვადასხვა სახეობის ინვენტარითა და მაკულატურით;

თ) ელექტრო მეურნეობა უნდა იყოს მუდმივად გამართულ მდგომარეობაში;

ი) სახანძრო ცეცხლმაქრეები უნდა იყოს მუდმივად გამართულ მდგომარეობაში, სხვენში ასასვლელი ლუქები უნდა იყოს დაკეტილი;

კ) სამუშაო საათების დამთავრებისას მოახდინოს დათვალიერება ელექტრო განათების სრული გამორთვით, გარდა მორიგე განათებისა, რომელიც მუდმივად უნდა იყოს ჩართული;

ლ) ფანჯრების საკეტების, ლუქების დაზიანების ან ხანძრის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეატყობინოს: უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პოლიციას, სახანძრო სამსახურს და სამსახურის სხვა თანამშრომლებთან ერთად მიიღოს ზომები დასაცავ ობიექტზე შეღწეული პირის დასაკავებლად;

მ) კონკრეტული დარღვევის გამოვლენის შემდეგ შეადგინოს ოქმი

დანიშნულებისამებრ წარსადგენად;

ნ) ხანძრის ან სხვა სტიქიური მოვლენების შემთხვევაში (კორპუსში ან კორპუსის ტერიტორიაზე) დაუყოვნებლივ შეატყობინოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, სახანძრო სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელობას, პოლიციის განყოფილებას.

ო) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა მომსახურების წესის შესაბამისად უზრუნველყოს უნარშეზღუდული სტუდენტების დახმარება.

4.2. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს ეკრძალება:

ა) დამოუკიდებლად გახსნას ბოქლომები, კარები, ფანჯრები, მოხსნას საკეტები, პლომბები, ბეჭდები, გადაადგილოს სახანძრო ინვენტარი, ხანძარმაქრობი პირველადი საშუალებები ან შეასრულოს სხვა სამუშაო, რაც არ არის დაკავშირებული კორპუსის დაცვასთან;

ბ) არ დაუშვას უცხო პირი დასაცავი კორპუსის ტერიტორიაზე საშვის ან რეგისტრაციის გარეშე. აღნიშნულ შემთხვევაში აუცილებლად უნდა დაიტოვოს პიროვნების დამდასტურებელი მოწმობა და ხელი მოაწერინოს რეგისტრაციის ჟურნალში;

გ) კორპუსის მიტოვება ან სამსახურიდან მოცდენა, მორიგეობის დროს ძილი, თვითნებურად მორიგეობის გაცვლა. დაცვისა და უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელს კორპუსის დატოვება შეუძლია სტიქიური უბედურების შემთხვევაში, როდესაც კორპუსში შემდგომი ყოფნა მის სიცოცხლეს ემუქრება.

უეცარი ავადმყოფობის შემთხვევაში კორპუსის მიუტოვებლად უნდა აცნობოს ამის შესახებ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსს და იმოქმედოს მისი მითითებით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან/და სამსახურის ლიკვიდაციის შემთხვევაში.

